საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთაწმინდის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი

მთაწმინდის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი, გამოჩენილ მწერალთა, საზოგადო მოღვაწეთა, მეცნიერთა და ხელოვანთა განსასვენებელი ადგილი თბილისში. მდებარეობს მთაწმინდის ფერდობზე, მამადავითის ეკლესიის ეზოში. სახელწოდება მომდინარეობს აიონ-ორორდინ (ბერძ. წმინდა მთა) სადაც განლაგებული იყო ქართვ. ქრისტიანთა სავანეები. გადმოცემით, მთაწმინდის კალთაზე სენაკი გამოუქვაბავს ერთ-ერთ ასურელ მამას - დავით გარეჯელს (VI ს.). IX ს-ში აქ ივერიის ღვთისმშობლის ეკლესია იდგა. მის ადგილას 1542 ძმებმა ნიკოლოზ და დავით გაბაშვილებმა წმ. დავითის მონასტერი ააგეს. შემდგომ აშენდა მცირე ზომის ფერისცვალების ეკლესია (1809). ეკლესიებთან მისასვლელი გზები გაიყვანეს 1817. მამადავითის ახლანდ. ეკლესია აშენდა 1871, მის შემდგომ რესტავრაციაში დიდი წვლილი შეიტანა ქაშვეთის ეკლესიის მღვდელმა თომა გრიგორიევმა.

1915, ა. წერეთლის დაკრძალვის დღეებში, გაჩნდა მთაწმინდაზე პანთეონის დაარსების იდეა. ეს იმან განაპირობა, რომ აქ უკვე იყო დაკრძალული ი. ჭავჭავაძე. პანთეონი გაიხსნა 1929, ა. გრიბოედოვის გარდაცვალების მე-100 წლისთავზე (1829 ა. გრიბოედოვის ცხედარი გადმოასვენეს თეირანიდან და, მისივე ანდერძის თანახმად, მამადავითის ეკლესიის ეზოში დაკრძალეს). პანთეონის კეთილმოწყობისათვის შეიქმნა საზ. მოღვაწეთა (ი. ჯავახიშვილი, შ. დადიანი, გ. ლეონიძე და სხვ.) სპეც. საბჭო, ჩატარდა ტექ. სამუშაოები (ტერიტ. ტოპოგრაფირება, შედგა გენ. გეგმა, ამოიყვანეს საყრდენი კედლები, მოეწყო ტერასები, აღადგინეს ძვ. ძეგლები, საფლავის ქვათა წარწერები და სხვ.). საბჭოს გადაწყვეტილებით დიდუბის პანთეონიდან აქ გადმოასვენეს გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები. მთაწმინდის პანთეონში დაკრძალული არიან XIX_XX სს. მწერლები და

ხელოვანები: ა. გრიბოედოვი (1829), ნ. ჭავჭავაძე (1857), დ. ყიფიანი (1887), ი. ჭავჭავაძე (1907), ა. წერეთელი (1915), ვ. აბაშიძე (გადმოსვენებულია 1926), ო. გურამიშვილი (1927), ნ. ნიკოლაძე (1928), დ. ერისთავი (ნეშტი გადმოასვენეს კალოუბნის ეკლესიიდან 1929), დ. კლდიაშვილი (1931), ზ. ჭიჭინაძე (1931), ა. თუმანიშვილ-წერეთელი (1932), ვ. ბარნოვი (1934), ვაჟა-ფშაველა, ნ. ბარათაშვილი, ი. გოგებაშვილი; (1935, 1938, 1940; სამივეს ნეშტი გადმოასვენეს დიდუბის პანთეონიდან), ს. დოდაშვილი [გადმოასვენეს ვიატკის (რფ) სასაფლაოდან 1994], შ. დადიანი (1959), გ. ტაბიძე (1959), ლ. ქიაჩელი (1963), ი. გრიშაშვილი (1965), გ. ლეონიძე (1966), ს. ჩიქოვანი (1966), ო. ჭილაძე (2009), ნ. დუმბაძე (ნეშტი გადმოასვენეს საბავშვო ქალაქ „მზიურიდან“, 2009), ა. კალანდაძე (2008), მ. მაჭავარიანი (2010), ჭ. ამირეჯიბი (2013), ბ. ბრეგვაძე (2016), ჯ. ჩარკვიანი (2017), რ. გაბრიაძე (2021), ლ. გუდიაშვილი (1980), ს. ზაქარიაძე (1971), კ. მარჯანიშვილი (გადმოსვენებულია თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სკვერიდან, 1964), ი. ნიკოლაძე (1951), ი. ფალიაშვილი (1934), ა. ხორავა (1972), ა. ერქომაიშვილი (2021). მეცნიერები: ნ. ბერძენიშვილი (1965) ი. ვეკუა (1977), ე. თაყაიშვილი (გადმოასვენეს დიდუბის პანთეონიდან 2000), ნ. მუსხელიშვილი (1976), ა. ცაგარელი (1929), მ. ჯანაშვილი (1934), ს. ჯანაშია (1947); პოლიტ. და საზ. მოღვაწეები: მ. კოსტავა (1989), ქ. ჩოლოყაშვილი (ნეშტი გადმოასვენეს საფრანგეთიდან, 2005), ზ. გამსახურდია (საქართვ. პირველი პრეზიდენტი გადმოასვენეს ჩეჩნეთიდან 2007), გ. კვინიტაძე (ნეშტი გადმოასვენეს საფრანგეთიდან 2021). პანთეონში დაკრძალულია ე. გელაძე-ჯუღაშვილისა (ი. ბ. სტალინის დედა). აქვე კედელში განთავსებულია ი. მაჩაბლის სიმბოლური საფლავი (1998), XX ს. 90-იან წლებში მთაწმინდის პანთეონიდან ვაკეში გადაასვენეს ს. თოდრიას ნეშტი, ხოლო კუკიის სასაფლაოზე - ფ. მახარაძის და მ. ცხაკაიას ნეშტები.

2011 წ. 21 სექტ. მთაწმინდის პანთეონში გაიხსნა 1937 რეპრესირებულ მწერალთა და ხელოვანთა სიმბოლური საფლავის მემორიალი (ავტ. ნ. მაისურაძე). მემორიალზე აღბეჭდილია ს. ახმეტელის, ვ. კოტეტიშვილის, ე. მიქელაძის, ტ. ტაბიძის, დ. შევარდნაძისა და მ. ჯავახიშვილის სახელები.

პანთეონის საფლავის ძეგლთა ავტორები არიან მოქანდაკეები: ბ. ავალიშვილი, ე. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ვ. დემუტ-მალინოვსკი, დ. კაკაბაძე, ს. კამპიონი, ი. ნიკოლაძე, ი. ოქროპირიძე, გ. ოჩიაური, ფ. ხოდოროვიჩი და სხვ.

ლიტ.: ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი ზ., ნ ო ზ ა ძ ე თ., მამულაშვილთა სავანე, თბ., 1994; ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი, თბ., 1961; Мтацминда, Тб., 1957;

თ. ალიბეგაშვილი

მ. ბაქრაძე